შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 17.

ქვირა, აგვისტოს 24, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.
ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის გამო—ბოსლეველისა; არა იციან რასა იქმან—ალექსი ბერიმანიანისა; ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს—ივერიელისა; ქრისტე ღმერთი და ივანე გომართელის იპიბოპია—სანსილ პეტრიაშვილს; წერილი რედაქციის მიმართ—მღვ. რაჟდენ სანებლიძისა.

რედაქცია უმორჩილესად თხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

ქოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის გამო.

ბ. დიმიტრი ბულატოვიჩმა „Рус. Сл.“-ში მოათავსა შემდეგი ღია წერილი გრაფ ტოლსტოის მიმართ:

„ტებილად მოუბარო გრაფო! თუთხმეტი წელიწადი გეპვდათ დატუვებული თქვენ თქვენი ურული გონებით ჩემი სული, ჭკუა, გული და ნება. თუთხმეტი წელიწადი! ყველამ ჰირი იბრუნა შენგან, როგორც გამცემელისაგან, რომელსაც უნდოდა მთელი ქვეყანა გაესუელებია,—და თქვენც თითონ კარგათ იცით ეს, რადგანაც არა ერთხელ გიტირნიათ ამის შესახებ, რომ თქვენ ნაწერებს აღარავინ კითხულობს, მეგობრებიც კი.

„ურიები ხედავენ შენში თავის მედოლეს (барабанщикъ) და გენიოსს გიწოდებენ, მაგრამ მშვენივრად ესმისთ, რომ თქვენ მხოლოდ ნიჭიერი ლიტერატორი ბრძანდებით და ჰატრონობთ თუჯის წელთან ბედნიერად შეზავებულ მუსის ენას, რომელთაგან ჰირველი ნებას გამლევთ იმდენი სწეროთ, რამდენიც ჯდომა შეგიძლიათ...

„ერთში კი მართალი ბრძანდებით,—რომ შეასრულეთ „въ предѣлахъ скотскихъ все скотское“! დიდი სანია დროა, რომ გაჩუმდეთ და დამუწოთ უსჯულო ჰირი!... (Закавказ. № 174)“.

ქ. ზარეულის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ასეთი მუსთალია და დაუნდობელი წუთისოფელი და მისი ნაბოძები დაფნის გვირგვინები ასე უცეფ ჭკნებიან! გრაფი ჯერ მოესწრო, რომ მის ნაწერებს ადარ კითხულობენ, მისი მეგობრებიც კი. მისმა ნაწერებმა მაზე უფრო ადრე დალიეს სული, მიებარენ არსივს და ვინ იცის რომელი საუკუნის ისტორიკოსი გადაქექს დროთა ვითარებისაგან მათზე დადებულ სქელ მტვერს. გასაკვირვალია!.. გუშინ არ იყო, რომ გრაფის ხსენება ჟრუანტელს გვრიდა მის მიმდევრებს?! გუშინ არ იყო რომ მის სახარებას ჩასცინინებდენ და მას ნამდვილ ქრისტედ თუ არა, ნამდვილ მახარებლად მაინც აღიარებდენ?! სად გაჭქრა ასე უცბათ ამდენი დიდება, ამდენი ქება, ამდენი მეგობარი და თაყვანისმცემელი? გუშინ არ იყო, რომ იასნი ჰოლიანის ქრისტეს თაყვანსა სცემდენ, გუნდრუკს უკრავდენ და მსოფლიო გენიოსად აღიარებდენ! რა დაემართა, რა მოუვიდა იასნი ჰოლიანის გმირს, დიდებულ სახარების დიდებულ კრიტიკოსს? „ესრეთ წარსწყმდენ ცოდვილნი ჰირისაგან ღვთისა!“ მიტრიალებს ჰასუხად თავში. დიას, ცოდვილნი, ცოდვილნი! ღვთის უარის მყოფელნი! ჭია-ღუები ქრისტეს მსახურებთან შედარებით და არარაები თვით ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების წინაშე! ესრეთ წარწყმდენ... აბა კარგად გაითვალისწინეთ, რომელმა ქვეყნის მეცნიერმა, რომელმა გენიოსის აზრებმა გაუძლეს დროთა ბრუნვას, თუ იგინი თავის მეცნიერებას არ აფუძნებდენ ღმერთზე, რომელიც არის ერთად-ერთი ჭეშმარიტი საფუძველი, ყოველი ჭეშმარიტი არსებისა. გრაფმა გამოაცალა სახარებას საფუძველი, წაართვა ქრისტე და უგნურმა ვერ წარმოიდგინა, რომ უსაფუძვლოდ სახლს ვერ ააშენებდა. „უკეთუ არა უფალმან აღაშენოს სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი“, მაგონდება კიდევ დავით შეფის სიტყვები. უფალმა თვით თავის თავზე აღაშენა სახარება, თვით გაუხდა მას ქვაკუთხედათ, თაყვანსაკიდურ ლოდათ; გრაფმა კი იფიქრა, რომ თავის სუსტ კალმის წვერზე დააშენებდა მას; მაგრამ მოსტეხა და სასტიკად: სალხმა დაინახა სად არის ნამდვილი, ჭეშმარიტი სახარება და ცოტა სნის გატაცების შემდეგ დაუბრუნდა ისევ მას, ზურგი შეაქცია ასალ მახარებელს და არა თუ მხოლოდ ზურგი შეაქცია, გაჭკიცხა კიდეც. ნუ თუ ეს მაგალითიც ვერ მოაბრუნებს დაღუპვის გზიდან საცოდავ გრაფს? დროა დატოვოს, დროა უარ ჰყოს თავის უგნური კრიტიკა და დაუბრუნდეს მართლმადიდებელ ეკლესიას! ნუ თუ ოთხმოცდა ოთი წლის გრაფმაც ვერ შეიგნო თავის „სახარების“ და „აღსარების“ ფუქსავატობა? აღმზრდელმა აღმზრდელის შეცთომა იცნო და გაურბის მას, ხოლო თვით აღმზრდელი უფრო და უფრო ეფლება თავის შეცდომებში. მოციქულები სტოვებენ თავის ქრისტეს... ვნახოთ სანამდის გაუძლებს გრაფი ამ განსაცდელს!

მიუხედავად ასეთ და ამგვარ მაგალი-

თებისა ჩვენი გიუთაჟიანები არ ცხრებიან და ასალ-ასალ ქრისტეს ეძებენ...

—დემოკრატებმა ხომ კიდეც ჰპოვეს მარქსი, რომელ არს შესსია გერმანიიდგან, რომელიც იხსნის კაცობრიობას ცოდვათა შისთაგან, ე. ი. კაპიტალიზმისაგან, რომელიც (მარქსი) დაამხობს სამეფოსა მდიდართასა შეწევნითა პროლეტარიატისათა და რომელის (პროლეტარების) გავრცელება მიანდო მან მოციქულთა და წინასწარმეტყველთა თვისთა, კაუტსკისა და ჰლესანოვსა და სხვათა და სხვათა წვრილთა და წვრილმანთა ძალთა თვისთა, რომელნი ქადაგებენ ძმობასა და ერთობასა, რომელი არს სისხლი და ძალმომრეობა, შური და სიძულვილი, ძმათა მკვლელობა, სიყვარულისა და შებრალების გრძნობების ფესქვეშ გათელვა, ჰიროვნების უარყოფა და სხ.და სხ. „თუთხმეტი წელიწადი ჰკავდა გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის ურული ჭკუას დატევებული ბ. ბულატოვიჩის სული, ჭკუა, გული და ნება! თუთხმეტი წელიწადი!“ ვნახოთ ბ. მარქსის ურული ჭკუა რაძდენ ხანს იყოლიებს ტაბეოსაში ჩვენ—დემოკრატების სულს, გულს, ჭკუას და ნებას!....

ბოსლეველი.

ARA ICIAN RASA IZMAN!

—

„რა საჭიროა ხატთა თაყვანისცემა, სანთლის ანთება და სხვა ეკლესიური გარეგანი მოქმედებები!“ გაიძახიან მრავალნი და ფარისეველობად ან უაზრობად მიაჩნიათ ამგვარი მოქმედებანი. ნამდვილად კი ასეთი კითხვები მხოლოდ უაზრობისა და უგულისხმოების ნაყოფია.

შესაძლოა თუ არა უგარეგანოდ არსებობა ადამიანობრივი აღზრდა-განათლებისა?—სრულიად შეუძლებელია. შინაგანი სულის მოძრაობა გარეგან გამოიხატება. არსებობა ადამიანისა ითხოვს ვითარებებს, ხოლო ვითარებანი გარეგან სახეს და წესს.

უთხარით საყვარელ შვილის დედას, რომ სულით მხოლოდ შეყურებდეს შვილს და არ შეახოს ხელი, არ ეამბოროს, არ ჩაიკრას გულში და არ ეალერსოს თავის სატრფიალო სიცოცხლეს, ისე დუმილით შესცქეროდეს მას თავის სიცოცხლეში! და თუ ეს შეუძლებელია, ეს შეუძლებელობა საერთო კანონია სიყვარულისა და რა ვუწოდოთ იმათ, რომელნიც უარყოფენ და კიცხავენ ღვთის მსახურებითს მოქმედებებს. ჭეშმარიტად, „არა იციან რასა იტყვიან“.

ღვთის მსახურებითი მოქმედებანი აუცილებელი მოთხოვნილებაა ადამიანის ბუნებისა. კითხვა, რა საჭიროა ეკლესია, სადაც გინდა, იქ ილოცეო, ეს იმას გავს, ვინმემ რომ სთქვას, რა საჭიროა სასწავლებელი, სადაც გინდა, იქ ისწავლე, რა საჭიროა სამკითხველო, სადაც გინდა, იქ იკითხე, რა საჭიროა თეატრი, სადაც გინდა, იქ წარმოადგინე?! თუ არსებობს საყდარი ხელოვნებისა, საყდარი მეცნიერებისა, რა ნება გაქვსთ უარჰყოთ საყდარი საღვთისმსახურებო?!

საღვთისმსახურებო გარეგან მოქმედებებს, რაც ბუნებრივი და თანაწარუვალია, ებრძვიან და ამავე დროს ხმას არ იღებენ ცხოვრებაში ღრმად გამჯდარ მრავალ გარეგან უსარგებლო და საზარალო ჩვეულება-მოქმედების წინააღმდეგ. რავდენი უჭკუო ხარჯი, რავდენი ფუჭე სურვილის მონობა ხორცმეტად შეუძენია გაჭირვებულ ადამიანობას და არ სურს განკურნება ამ მძიმე ჭირისაგან დასაშვენებლად კაცობრივ დიდებულ სულიერ სახისა და თან აღსასუბუქებლად ცხოვრების მძიმე ტვირთისა. დღეს ყველა განათლებული საზოგადოება ამ ხედრებულია, რათა მძიმე ტვირთისგან დაბეგრებულ ადამიანობას აღუსუბუქონ ოხვცრე-

ბის მწარე უღელი, მაგრამ სამწუხაროდ ამასთანავე თითონ ამ განათლებულ პირთა უმრავლესობა ხელს უწყობს და წინ უძღვის ქვეყნიერ ამაო ზოგ-რამე უსარგებლო ჩვეულებას. ავიღოთ სხვათა შორის უმეტესად განათლებულთა წრეში მიღებული ჩვეულება: —მიცვალებულთა ცხედრის გვირგვინით შემკობა, ეს ბავშური საყვავილო მოქმედება და ამაო შესაწირავი მიწად-ქცეულ გვამზე, რომლისათვის თასობით ფული იხარჯება. რა ბრძენთა საკადრისია უსარგებლოდ ამდენ ფულის დაღუპვა, მკვდარ უსულო გვამისთვის რა სამნიშვნელო ან სასარგებლოა?! სამწუხაროა სწორედ ასეთი შეუსაბამო თავ-მოყვარეობით ყვავილების კონათა დაბალ გრძნობების თაყვანისცემა, რომელიც სენად მოედვა ქვეყნიერობას; —ეს თვალთ საოცნო ძღვენი ჭკუის მოტყუებაა, მეტი არაფერი. თქვენ გეკითხებით, რომელთა არა გწამთ კაცის სულის პიროვნული უკვდავი არსებობა, რა აზრი აქვს გახრწნილ გვამის წინ თქვენს ასეთს მრავალფასოვან გვირგვინების შეწირვას, რაც მის პიროვნულ სიცოცხლეს, რომელიც თქვენის აზრით არც კი არსებობს, ყოვლადკე არა სჭირია. ან რად ესაჭიროება წლითი წლად ხსენება იმ უარსოდ გაქარწყლებულ გვამს, რომელსაც ეწამებით განქარვებად?! ურწმუნოთაგან დამპალ გვამისადმი თაყვანისცემა და გვირგვინების შეწირვა წარმართულ კერპთთაყვანის ცემაზე უსაძაგლესია, მით რომ წარმართთა აზრში კიდევ იპოვება იდეალური ხედვა და რწმენა, რადგანაც ნივთიერებას მისთვის სკეტენ თაყვანს, რომ იგი ღმერთი გონიათ. ხოლო ურწმუნოთა აზრით ადამიანი სიკვდილის შემდეგ ხომ მტვერია, რომელსაც არა ესმის რა და ყოველივე ესე გვირგვინთა შეწირვა უხმარია მისთვის. აქ შეიძლება მოგვიგონ, რომ თუმცა მიცვალებულთათვის ყოვლად უხმარია გვირგვინი, მაგრამ ისევ ჩვენთვის საჭიროა კეთილისადმი წასაქეზებლადო. განა საკადრისია განათლებულ პირთათვის ამისი მოგონება, რომ [illegible] სიკვდილის დღეს ბევრ გვირგვინსა და ქებადიდებას შეწირავენ და მისთვის უნდა დაიმსახუროს უურადღება ერისა? ეს ერთობ დამცირებაა დიდსულოვან კაცის პიროვნებისა, მით რომ სიკეთე გინა სათნოება კაცმან მისთვის კი არ უნდა ქმნას, რომ მით სიკვდილის შემდეგ და თან სიცოცხლეშიაც აქონ, ადიდონ, და ცხედარზე ყვავილთა კონები დაეყარონ. განა ამით უნდა ნუგეშობდეს ჩვენი სულიერი ღირსება დიდ-სულოვნებისა, ამით უნდა ვაჭრობდეს ბრძენი კაცი ქების აღსაშენად, თუ სიკეთე და სათნოება თავით თვისით სიკეთისათვის უნდა გვიყვარდეს? სიკეთე შევიყვაროთ მისთვის, რომ იგი კეთილია და მისთვის საყვარელია შემყვარებელთათვის და შვენიერებაა შემთვისებელთათვის, და ასეთი წმიდა აზრით გამსჭვალული ადამიანობა შეადგენს ზეგარდამო მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას, რომლის შესაძენად საჭიროა სულიერი ძალა, წარმოშობილი ღვთის ხედვისა და ჩვენი სულის საუკუნო პიროვნულ შვენიერებისაგან. შევიხედოთ კიდევ საეკლესიო გარეგან მოქმედებათა გამკიცხველ პირების ჩვეულება-მოქმედებათა სალაროში.

გაუმაძღარმა ადამიანის ბუნებამ ყველაფერის შეჭმა მოინდომა. რა ხერხს არ ხმარობენ, რათა ყოვლად არა თვისებური რამეებიცა გადაყლაპოს. იგი კვამლის ლულადაც გადაიქცა. ყლაპავს და ყლაპავს ამ მწარე და მავნე თუთუნის კვამლს. საკვირველია ჭეშმარიტად! ჯამაგირი რომ გაუჩინო კაცს და უთხრა, რომ ვერცხლის კალამი ატაროს ბაგით, ხომ შეუძლებელია, და თითო ციდა ყალიონს კი ლილიდან სალამომდი ფულის ხარჯით ატარებს. ვაი ამაოებას, რა უსარგებლო და უმადლო ზნეობით შერალ ჩვეულების მონად გამხდარა ადამიანი. ვინ არ იცის რა დიდი მავნებელია ეს კვამლი ადამიანის სიმრთელისათვის და რ დიდს ზარალს აძლევს ეს უნაყოფო ჩვეულებ ადამიანობას. რავდენი მილიონი იხარჯებ მთელს ქვეყნიერებაზე, რითაც მრავალი რა სასიკეთო საქმე გაკეთდება.

აიღეთ ბოლოს „მიდა“, ეს ადამიანი გონებრივად და ჭონებრივად დამაკნინებელ სენი. ოავდენი მწარე ოფლით სილარიბეში მცხოვრები ოჯახი უგუნურ სირცხვილი შეკრული ამ სენის მეოხებით ვალს ქვეშ ვარ დება!

...ორეთ უჭირო ჭირის გამჩენი მასხარაა ...ალ „მოდის“ გამომგონი, რომლის წი...ერა თუ უსწავლელი ხალხი, მაღალი პი... და განათლებულთა უმრავლესობა უფ...ურმოჭრილ მონა-მოთაყვანე არიან. „მო...ისეთი მიმზიდველი ფრთები შეასხა უგუ...ოებამ, რომ განურჩევლად შვენიერებისა (შვენის თუ არა იგი ადამიანს) მაინც ...ვარდია. რა სიმდარეა ადამიანის მა...ზროვნებისა! ვინ აოცნა საცოდავ ჩვენს ...მავალ ბუნებას, რომ ადამიანის შვენი...ა „მოდაშია“, რომლის სიმტყუნეს იგი ...ულ „მოდის“ ნაბიჯის გადადგმის და...ულ ხედავს. უგუნური უნდა იყოს ის ადა...ი, ვინც აქ ვერ გაარჩევს, თუ რაშია შვე...ება და უშნოება. გუშინ დამამშვენებე...ი ცნობილი დღეს უშნოდ რამ შესცვალა, ...არა ჭკუის მოტყუებამ და წინდაუხედველ, ...ველ უაზრობამ?

...რას წარმოადგენს ახლანდელ ზოგიერთ ...ან კაცების თავი? შვენიერებას თუ უშ...ებ, ჭკუიანობას თუ უჭკუობას? ქაჯური ...ითო ცხვრის ბუდე დაუწვენია უგუ...„ოდის“ მონა ადამიანს თავის ქალაზე, ...შვენიერებასაც ამახინჯებს და სიმრთე...ეც აბრკოლებს.

...ეთი მავნე და საზარალო სენით გან...ონებულ ადამიანობას ვერ შეუსწავლია ...ი განკურნების წამალი და მოსდგომია ეკ...ას და მას შინა საღმრთო მოქმედებათა ...ბასრობას.

...როდის უნდა ეღირსოს საცოდავი ადამი...ა სრულ ასაკოვნებით სულიერ აღზრდას ...ი მხედველობით ჭკუის ამაღლებას, რა...ბუნებური, ფრიად მავნე, ცხოვრების ...ოებელ უხმარ ჩვეულებათაგან იხსნას ...რაც მის ხელშია და არავინ ძალმომრე...ა არ აიძულებს და არც აუცილებელი ...ბილებაა? როდის უნდა დაგმოს უსარ...ელ ჩვეულება მოდათა დაუსრულებელ ფე...ებლების საზღვეველი ბეგარა?!...

ალექსი ბერი.

ძართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს. *)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სოციალისტური მოძღვრება უარს ჰყოფს სარწმუნოებას, ეკეკლესიას და სამღვდელოებას, ამ მოძღვრების თვალთა სედგის ისარი მიპურობილია მხოლოდ ქრისტიანურს ბედნიერებაზე, რომელ ბედნიერების ძებნაში ადამიანს სელმძღვანელად უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი სინიდისი და რწმენა. სარწმუნოების და ეკეკლესიის უარეოფით უარეოფილია თვით ღმერთიც, უმაღლესი იდეალი ჭეშმარიტის ცხოვრებისა და ამასთანავე უმაღლესი მსაჯული, რომელი „მიაგებს კაცად კაცადსა საქმეთა მათთებრ“.

რომ ცილის წამებად არავინ წამოეკარებოდეს ეს სიტყვები მოვიყვან ერთ თანამედროვე მოძღვრების მეთაურის სიტყვებს. შემდეგ სამღვდელოების ლანძღვა-გინებისა, რომელსაც ეშმაკების მიანად უწოდებს, ბატონი ი. გომართელი სხვათა შორის ამბობს: მე ძრწამს რომ მომავალში კეთილობრიობა და მასთან ერთად ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისთვის ეველაფერი აქ იწყება – დედა მიწის ზურგზე—და აქვე თავდება... (იხ. ივერია 1905 წლისა № 130).

ვითომ რა უნდა სთქვას ამით აღნიშნულ წერილის ავტორმა?! მართლაც რომ გამართლდეს მისი ასირებული წინასწარმეტყველება, კეთილობრიობა და მასთან ქართველი ერიც სანეტარო დროს შეესწრება? ღვთის უარეოფით და მომავალი ცხოვრების არ რწმენით უფრო ზნეობრიანი შეიქნებიან და უკეთესი დამოკიდებულება იქნება სალსთა შორის?—ვგონებ, რომ არა—ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს თანამედროვე განათლებულ, მაგრამ ურწმუნო, ადამიანთა ცხოვრება. ღმრთის უარეოფით, როგორც შევნიშნეთ, უარ უყვიათ ასეთს ადამიანებს ყოველივე ნათესაობა და ამნირად მათი ოჯახი წარმოადგენს გარეკნილების თავშესაფარს, სადაც მათი ლიტერატურა ღორების მორეკთა წუმპეს, როგორც უწოდა მას ერთმა თანამედროვე მწერალმა ყურნალ „მოგზაურის„ საპასუხო წერილში.

განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს შებრ-

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 16.

ძალნი ყოველს დროსა და ყოველს ერში ყოველნაირ საშველებას ხმარობდენ მოსებისაგან თავის დასაღწევად და სამართლიანობისა და ჭეშმარიტების დასამყარებლად, მაგრამ სასუმა კი ამ კეთილშობილ ადამიანთ ყოველთვის ჭქონდათ ზნეობრივად ამაღლება საღხისა, რაც შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოების საშველებათად ზედგაკლენით. ცნობილი მარაბო, თავადიშვილი შუამოსულობით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრად იყო 1789 წელს ე. ი. დიდი რევოლიუციის დროს და სელს უწყობდა ამბოხების მეთაურებს; მაგრამ დარწმუნებული კარ, რომ მირაბოს წარმოადგენა ის უზნეობა და გარყვნილება, რომელსაც ვხედავთ ეხლა განთლებულ საფრანგეთის ოჯახებში (ისიდე წერილები ბარიზიდგან თ. სასოკალისი), არავრის გულისთვის არ მიიღებდა მონაწილეობას ამბოხებაში და არც სელს შეუწყობდა მეთაურებს, მით უმეტეს რომ ზნეობრივად დაცემული ერი გადაგვარების და გადაშენების გზას ადგია, რაც ცხადთ დამტკიცა რომელთა ცხოვრებამ; სოდო ერის ნამდვილ მეთაურებს მისი გადაგვარება და მოსპობა კი არ სურო არამედ აღორძინება და წარმატება.

ადამიანი მით განირჩევა ბარუტეკისაგან, რომ მას აქვს დასახული საუკეთესო იდეალი; იგი უკეთესობას და წარმატებას ცდილობს თავის ცხოვრებაში. როდესაც ადამიანს იდეალი ეკარგება მაშინ მისი ცხოვრება ისპობა, იგი კვდება. იდეალი მის თანდაყოლილს და აუცილებელს თვისებას შეადგენს არამც თუ ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალ ცხოვრებაშიც რომელშიდაც გადადის, ქრისტიანური ცხოვრების შემდეგ, დიდის რწმენითა და საფიქრალით. და ეს იდეალი იმოდენად მაღალია და წმინდა, რამოდენადაც მტკიცეა მისი სარწმუნოება საიქიო ცხოვრებაზე. უიდეალო ადამიანი, ბარუტეკი, იგი მხოლოდ ღორმუცელია, რომელსაც გაძღომის მეტი არაკითარი წარმოდგენა არ აქვს არც ცხოვრებაზე და არც ნათესაობაზე და მაშასადამე, სხვათა შორის, მხოლოდ სქესებრივ საამოვნებას ეწევა ასლობელთან და შორებელთან, ნათესავთან და უნათესაოთან სწორედ ისე როგორც ხვადი ლეკვი თავის მშობელ ძუ ძაღლთან!!

დიას სარწმუნოების დაკარგვით და ღმრთის უარყოფით, რასაც გომართელი და მისთანანი ჭეშ. დაგვებენ, სწორეთ ასეთი ცხოვრება მოელის ადამიანს. მაგრამ ი. გომართელი, როგორც ბევრნათ მისის ნაწერებიდგან და მოქმედებიდგან მხოლოდ დიალექტანტია და სხვა არაფერი.

დიდებული ბაირონი სწერს რომ მე ზიზღით ვუყურებ ისეთს მოქმედებას და აზრებს, რომელიც სასიკეთოდ არა აქვს გადაწყვეტილი მის ბატონებელს და ძარღვებში წარგზავნილია. და მართლა მხოლოდ ის ადამიანია ნამდვილი მოღვაწე და ულალატებს ერთსელვე დასახულს მიზანს, რომელსაც აზრი სასიკეთოდ აქვს გამჯდარი ძარღვებში. ბაირონმა და მისთანებმა კიდევაც დამტკიცეს სამეთ;—ოცდაჩვიდმეტი წლის ბენიოსი ბერძნებმა ერთად მოწინააღმეტ რაზმში ებრძვა თათრებს ომის დროს, მისთვის რომ მან ერთსელვე ამოიწერა გულში წამებულიყო იმ ერისთვის, რომელიც ხუთუნეთ განმაღლობაში წინამძღვრობდა მთელს კაცობრობას. ბაირონის, დიმიტრი თავადებულის და ერეკლე მეფის ადგილას როგორ მოიქცეოდა ი. გომართელი, რომელიც ქუთაისის ტაბრის ბაზაში 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ საოთომბერაში წასვლას ურჩევდა ხალხს და აქ, ოთხებშიაც სიასლის დაღვრას და საეკლესიოს სასთვის (მისი მეწერმეტეველური სიტეკა ჩვენ თუ ოთან ვისმინეთ აღნიშნულს დროს). და სადთ როგორ მოიქცა ეს უკელამ იცის. მაგრამ ბოდიშს ვისდი დიდებული გაკმების წინაშე, გომართელის მათთან შედარება რა შეაშაა?!

„სულიერი ათარი, ამბობს ცნობილი ლეტოლსტოი *) ბოროტების და უსამართლობის მასამობისა არის მხოლოდ ერთი, ადრიდანვე ცნობილი ხალხისათვის, რომელიც ყოველთვის სიმეს სელმწიფეებისა და ამაღეს ხალხს სრულსა და ბოლებელს თავისუფლებას. ასეთი ათარი ერთი: ისეთი სარწმუნოებრივი შეგნება ცხოვრებისა, რომელსაც ადამიანი სთელის თავის ქვეყნიერ ცხოვრებას მხოლოდ ნაწილად მთელის ცხოვრებისა, აკავშირებს თავის ცხოვრებას დაუსრულებელ ცხოვრებასთან და სთელის - რა უმაღლეს ბედნიერებად ამ დაუსრულებელი ცხოვრების წესებს შეადგენ, ისეთ ცხოვრება მოელის ადამიანს. მაგრამ ი. გომართელი, როგორც ბევრნათ მისის ნაწერებიდგან და მოქმედებიდგან მხოლოდ დილეტანტია და სხვა არაფერი.

*) იხ. Политическимъ дѣятелямъ. № 2. стр 10. 1906 г.

ლებას აიულებულად სდის თავს ადსრულოს ეს წესები უფრო, ვინემ კაცის მაერ დადგენილი კანონები.

„მხოლოდ ასეთს რელიგიურს შეხედულებას, რომელიც ეკვლას ერთნაირად შეაგნებინეს ცხოვრებას გარეშე სულმწიფებისა და მასში მონაწილეობის მიღებისა. შეუძლია მოსპოს სულმწიფეს.

„და მხოლოდ ასეთი რელიგიური შეგნება ადამიანს საშვალებას ადამიანებს, სულმწიფებაში მონაწილეობის მიუღებლად, შექმნას გონიერი და სამართლიანი ფორმა ცხოვრებისა.

„და გასაკვირველია, რომ მას შემდეგ, რაც ევროპის ცხოვრებამ შეაგნებინა სალხს არსებული უფლების უძლეველობა, რომ ჩვენს დროშიაც არ შეიძლება ძალით იმისი დანგრევა, მან გაიგო ის თავლსაჩინო ჭეშმარიტება, რომ სულმწიფება და ეკეკლი მისგან წარმოშობილი ბოროტება არის მხოლოდ სალხის ცუდი ცხოვრების შედეგი და რომ სულმწიფების და ბოროტების მოსასპობად საჭიროა პატიოსანი და კეთილი ცხოვრება ადამიანთა.

„სალხი თან და თან გრძნობს ამას. ასლა კი იმნი (პოლიტიკურ მოღვაწეებმა) უნდა შეიგნონ მხოლოდ ერთი რამ, რომ სალხის პატიოსანი ცხოვრებისათვის საჭიროა აღსარება და აღსრულება იმ საღმუნოებრივი სწავლისა, რომელიც ესმის და შეადგენს თვისებას კაცობრიობის უმეტესობისას.

„ეკეკლიკე სხვა საშვალება სულმწიფების მოსასპობად და ადამიანთა ბედნიერ ცხოვრების დასამყარებლად არის მხოლოდ მუქთი დაკარგვა თავის ძალისა და არა თუ დაკასლოკვა, არამედ კიდეკეც დაკაშორება იმ მიზანს, რომლის მიღწევასაც ცდილობ...

„და თუ თქვენ ეკეთოგნით იმ გულწრფელ ადამიანთა, რომელთაც სურთ ემსახურონ სალხს რეკოლიუციონურ - სოციალისტური მოქმედებით, ეფიქრეთ იმ საშვალებაზე, რომელსაც სმარობთ მიზნის მისაღწევად. ეგ საშვალებანი თავდაპირველად არის უზნეონი, რომელნიც შეიცავენ: სიცრუეს, მოტეუებას, სიკვდილს და ეკორედ ეს საშვალებანი თავის დღეში ვერ მიაღწევენ მიზანს. ბოიერებს და თავდაჭერილობა მოაკრობათა, რომელნიც იცავენ თვით არსებობას, ისეთი დიდია ჩვენს დროში, რომ ევროპითარი ოსტატობა, მოტეუებას და სასასტიკე ვერ შეარეკვენ მას, პირიქით ამართლებენ მმართველობათა ძალმომრეობას და აძლიერებენ მათ“.

დიახ ქრისტიანული ძალად-სარწმუნოებრივ-ზნეობრივ სწავლასთან შექსოვილს და შედეგებულს ნამდვილ ღრმა განათლებას შეუძლია მისცეს კაცობრიობას ბრწყინვალე მომავალი.

ივერიელი.

(შემდეგი იქნება).

ქრისტე ღმერთი და ივანე გომართელის ეპიბოლია.

(გაგრძელება).

წინა წერილში (იხ. „შინაური საქმ.“ № 13) ჩვენ მოვსთხოვეთ ბ. გომართელს უტყუარი საბუთი იმისა, თუ როდის და რომელმა სამღვდელოებამ დაამახინჯა ქრისტეს სახარება, ან მისი სიტყვით, „ქრისტეს მოძღვრება“? მაგრამ ვადის ეს მეექვსე კვირა, პასუხს არ იძლევა. რა თქმა უნდა, ეს თავაზიანობით არ მოსდის ბ. გომართელს, არამედ უსაბუთობით და უნიადაგობით. მან ვერ ჰპოვა თავის მოძღვართა შორის ასეთი საბუთები, თითონ კი არსად წასულა საექსკურსიოდ, საძებნელად, და რომ წასულიყო კიდეც, ტყუილა ჩაუვლიდა სულის კვეთება. ამიტომ არც ჩვენ გამოუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენათ სტყუვის ჩვენი ექიმ-ღვთისმეტყველი, რადგანაც ეს ისედაც ცხადია ყველასათვის, ვინც მასავით არ გაუტაცნია ამაოებას და იაფ ფასად მეცნიერის სახელის მოხვეჭას. ვიტყვით მხოლოდ ორიოდ სიტყვას შესახებ იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა.

გომართელს არ სჯერა ი. ქრისტეს ღვთაებრიობა; ამისთვის მას დასჭირდა „იოსებ პანდერა“, „ხუროვნობა“, „ოცნება“, „წიგნების კითხვა“ და სხვა ამგვარი ზღაპრები, რომელთაც არავითარი საბუთი არც წერილობითი და არც ზეპირ გადმოცემითი არ მოეპოებათ, გარდა ბატონი გომართელის და მის მოძღვრების

(მასწავლებლების) ოცნებისა, მაგრამ ამ ოცნებასაც, მისდა უნებურად, ისეთნაირ თვისებებით შეუმკია ქრისტეს პიროვნება, რომ მასში არ შეგვიძლია არ აღვიაროთ რაღაც ღვთაებრივი, არა ჩვეულებრივი, არა კაცობრივი ბუნება. ასე დაემართა კაიაფა მღვდელმთავარსაც: როცა იგი შეეკითხა იესოს: „შენ ხარო ქრისტე ძე ღვთისა?“ იესომ მიუგო: „შენ უკვე სთქვიო“. ასე მოსდის ყველას ვისაც იესო ქრისტეს დამცირება სურს, ასე მოსდის გომართელსაც: იგი ისე ახასიათებს კაც-იესოს, რომ მისი მსგავსი კაცი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება; მაშასადამე, იგი არც უბრალო კაცი ყოფილა. ჩვენ არ, მოვიყვანთ აქ გომართლის აზრს იესოზე. ამისთვის მკითხველს მიუთითებთ სამეცნიერო გაზეთ „ალიონის“ პირველ და მეორე ნომრებზე, რომლებშიდაც ბევრ ამისთანა მარგალიტებს შეხვდება.

მიუხედავად გომართელის მამათმთავრებისა: არიოსისა, რენანისა, გეკკელისა და სხვათა და სხვათა, უმრავლესი და უგონიერესი ნაწილი კაცობრიობისა (რა თქმა უნდა ქრისტიანეთა) იესო ქრისტეს პიროვნებაში ყოველთვის აღიარებდა და დღესაც აღიარებს ღვთაებრივ ბუნებას არა მიტომ, რომ ამას ღვდლები უქადაგებდენ, ან ასე ასწავლიდნენ ეპისკოპოსები თავის უფლების განსამტკიცებლად, როგორც ამბობს ბებელი, არამედ მიტომ, რომ თვით მის მოქმედებაში, სწავლაში და თვითცნობიერობაში ხედავდა ისეთ სისრულეს, რომლის მექონი არ შეიძლებოდა უბრალო კაცი ყოფილიყო, თუ არ განხორციელებული ღვთაება.

„უწინარეს ყოვლისა, ამბობს პროფ. აკვილინოვი, წინადადებთ ჩვენ მოწინააღმდეგეებს იმ დებულებას, რომ ყველა იმათგან, რაზედაც ეპვის მიტანა შეიძლება, უფრო ეეჭვეა ადამიანის ცნობიერება და თვითცნობიერება“.*) ვინ არ უწყის, თუ რა გულდაჯერებით აფუძნებს ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია ადამიანის ცნობიერებაზე, მის (ადამიანის) დანაშაულობას, თუ უდანაშაულობას. ადამიანის პიროვნებას ფასს სდებენ იმის მიხედვით, თუ რას კითხულობენ მის თვითცნობიერებაში.

„ი. ქრისტესაც ჰქონდა თავის თვითცნობიერობა, და თუ ერთხელვე აღიძრა საკითხი ქრისტეს ვინაობისა უთუოდ უნდა დავეკითხოთ თვით მაცხოვრის თვითცნობიერობას,**) საიდგან დაებადა მას ცნობიერება თავის უცოდვილობისა? გარეშე ქვეყნიდგან ვერ შეიძენდა, და ვერც ადამიანთა ბიწიერებაში ჰპოებდა მას. ჩვენ ვიცით, რა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდნენ ბუდდა და მახმადი თავის დიდებისაკენ, მაგრამ ერთი მათგანიც იმ ზომამდე არ გაკადნიერებულა, რომ თავისთავისთვის უცოდველი ეწოდებია იმ აზრით, რა აზრითაც მაცხოვარი უწოდებდა თავის თავს. საეკლესიო ისტორიამ ბევრი დიდებული და ღირსშესანიშნავი წმიდანები და გმირები იცის, მაგრამ ერთი მათგანიც ვერ აიტანს თვით ზერელე შედარებას ქრისტესთან. „ვინ თქვენგანი მამხილებს მე ცოდვასა“, ეკითხება მაცხოვარი თავის მტრებს და ერთი მათგანიც ვერ ბედავს უჩვენოს მასში რომელიმე ნამდვილი ნაკლულევანება. წინააღმდეგ, მაცხოვრის შესაპყრობლად გაგზავნილი მსახურნი უმოწმებენ თავის უფროსებს, რომ „არა სადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაციო“ (VII 46). როცა ლოცვას ასწავლის, ქრისტე უბრძანებს მოციქულებს, მოიწოდონ ღმერთი ასე: „მამაო ჩვეო“, ხოლო თვითონ არასოდეს არ მიუმართნია მისთვის ასეთი სახელით, არამედ ყო-

*) ესეთი მოქცევა აუცილებელია. თუ ვისმე გაცნობა გვწადია, ჯერ უნდა დავეკითხოთ მას, ვისიც გაცნობა გვსურს, ე. ი. უნდა შევეკითხოთ მის თვითცნობიერებას: რა კაცად ცნობს თავისთავს და შემდეგ დავუკვირდეთ მის მოქმედებას იმის შესატყობად, გვატყუებს თუ არა.

სანმანიანი.

**) ყოველ ადამიანს აქვს თვითცნობიერება და საღი და პატიოსანი ადამიანი ყოველთვის იმათ აცნობს თავის თავს, რაც ნამდვილად არის, რასაც ეუბნება მას თავის ცნობიერობა. მაგ. პატიოსანი და საღი ხარაზი არ იტყვის, მინისტრი ვარო, ან ხელმწიმე ვარო, არც საღი მინისტრი იტყვის, ხარაზი ვარო ან დურგალი. მართალია, მოტყუება შეიძლება, მაგრამ ამას მოქმედება გამოაშკარავებს. საღი ადამიანი ყოველთვის ადამიანად სცნობდა და სცნობს თავის თავს და არა მღვთად და არც ქრისტედ, არც კიდევ მაიმუნად, მიუხედავად ჩვენი მაიმუნებისა და მათ შორის .....

ელთვის უწოდებს მას თავის მამად: მაგ. „მე
და მამა ჩემი ერთ ვართ“, მე მამისათანა და მა-
ნ ჩემთანა“, „მამა ჩემი მოაქამომდე იქმს და
მეცა ვიქმ“... ამავე ლოცვაში იგი ასწავლის
ოციქულებს ითხოვონ ღვთისაგან თანამდებთა,
ე. ი. ცოდვათა მოტევება, ხოლო ასეთი ლოც-
ვით თითონ არასოდეს არ მიუმართნია მამი-
სადმი. როგორც ეტყობა, გეთსამანიის ლოც-
ვა წარმოადგენდა უფრო მოხერხებულ შემთ-
ხვევას, რომ ნებსით ვნებად მიმავალ ქრისტეს
თავის ქვეყნიურ ცხოვრების განმავლობაში
ერთხელ მაინც მცირედი რამ ეჭვი შეეტანა თა-
ვის სისრულეში და ეთხოვა ღვთისაგან შეწყა-
ლება და ცოდვათა მოტევება. მაგრამ თვით
ევანგელიანესი კრიტიკაც ვერაფერს ამის მსგავსს
ვერ იპოვის ამ ლოცვაში. მაცხოვარი არ თხო-
ულობს ცოდვათა მოტევებას, რომელთა არ
ექვემდებარება, და ამით სრულიად განისხვა-
ვებს თავისთავს ჩვეულებრივ მომაკვდავთან. იგი,
როგორც დაიბადა, ისე მიიცვალა „არ მქონებე-
ლი ცოდვისა“.

„თვით უცოდველი სხვას უტევებს ცოდ-
ვებს, მაგ. იმ განრღვეულს, რომელიც განკურ-
ნა კაპერნაუმში: „შვილო, მოგეტევენ შენ შე-
ცოდებანი შენნი, ან ცოდვილ დედაკაცს,
რომელსაც მიუტევა „ცოდვანი მისნი მრავალ-
ნი“, ან ცხოვართა საბანელთან განკურნებელს:
„აჰა მრთელ იქმენ და ნულარა სცოდავო“...
და ლოცულობს ადამიანთა ცოდვათა მიტევე-
ბისათვის. ცხოვრების მომნიჭებელად და ჭეშ-
მარიტების მაუწყებლად მოსრული, იგი ამ-
ბობს თავის თავზე: „მე ვარ გზა, ცხოვრება და
ჭეშმაოიტებაო“, და საუკუნო ცხოვრების მი-
საღწევ პირობათ სდებს იმას, რომ იგი ვირ-
წმუნოთ: „რომელსა რწმენეს ჩემდა მომართ,
აქვნდეს ცხოვრება საუკუნო, „ან უკეთუ არა
ირწმენეს, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვა-
თა შინა თქვენთაო“.

ასეთია თვითცნობიერება ქრისტესი. იგი
ხედავს თავისთავში ძეს ღვთისას, ყოვლად უცო-
დველს და არა თუ თავისთვის გამოითხოვს
ცოდვათა მოტევებას, არამედ სხვას უტევებს,
როგორც ხელმწიფების მექონი; „რა უადვი-
ლეს არს თქმად, უთხრა მან კაპერნაუმში გან-
რღვეულის განკურნების დროს მდრტვინავ
ფარისევლებს, აღსდეგ აღიღე ცხედარი შენი
და ხვიდოდე, თუ მოგეტევენ შეცოდებანიო,
არამედ რათა უწყოდეთ, რამეთუ ხელმწიფება
აქვს ძესა კაცისასა მიტევებად ცოდვათაო.“
ასეთი თვითცნობიერება არავის არ ჰქონია,
არც ქრისტეს წინ და არც ქრისტეს შემდეგ
და მით უფრო გასაოცარია, საიდგან გაუჩნდა
იგი მაცხოვარს?

„ამ უსიამოვნო ანგარიშის გასათავებელად,
განაგრძობს მ. აკვილონოვი, კრიტიკას დარჩე-
ნია ერთი ჩვეულებრივი salto mortale (ნახტო-
მი), გიმოაცხადოს, რომ ყველა ის ადგილები
სახარებისა, რომლებშიდაც ცხადად სჩანს
მაცხოვრის ღვთაებრიობა, ყალბია. მაგრამ კით-
ხვა იმაშია: ვინ ჩაიდინა ეს სიყალბე? მოცი-
ქულები ამისთვის მეტად უმეცარნი. უბრალონი
იყვნენ. ასეთი საქციელისათვის, რომლის ჩადე-
ნას ყველა მსწავლულიც ვერ მოახერხებს, არ
იყვნენ მოციქულები მომზადებული. თუ
მართლა გალილეველმა მეთევზეებმა ხელი
მიჰყვეს ასეთ სიყალბეს და კიდეც ბრწყინვა-
ლედ შეასრულეს მაშინ თავისთავად იბადება
საკითხი: საიდგან იშოვნეს ასეთი მაღალი თვისე-
ბები თავის მოძღვრის იდეალურ სახის დასახა-
ტავად? მოციქულები ხომ თავის დროის შვი-
ლები იყვნენ და თანაზიარნი იყვნენ ზოგიერთ
ქვეყნიურ წარმოდგენაზე მესსიისა და უეცრად
მათ საკვირველმოქმედ კალამქვეშ იხატება ისეთი
ქრისტე, რომელშიდაც არ მოიპოება აჩრდილიც
კი იმ ქვეყნიური მესსიასი, რომელსაც უნდა დაე-
პყრო მთელი ქვეყნიერება და გაებატონებია
ებრაელები, რომელშიდაც არ არის არავითარი
დროებითი და ნაციონალური, ვიწრო და პარტი-
ული, რომელიც უცხოა ყოველ ადამიანურ
ნაკლულევანებისაგან! ჭეშმარიტად ეს იქნებოდა
Deus ex machina.

„რამდენიც გინდათ შეგიძლიათ ფურც-
ლოთ ძველი აღთქმის წიგნები და ეძიოთ შიგ
ის ნაწილები, რომლისაგანაც, კრიტიკის აზრით,
მოციქულებმა და სხვა ახალი აღთქმის მწერლებ-
მა ვითომ და შეთზეს უმაგალითო სახე საღვ-

თო მოძღვრისა, თქვენი შრომა არ დაჯილდოვდება გამარჯვებით. უსაცილოდ, ზოგიერთ ძველ აღთქმის წიგნებში, განსაკუთრებით საწინასწარმეტყველოებში, გაფანტულია ზოგიერთი თვისებები მესსიის პიროვნებისა, მაგრამ საქმე ზოგიერთ თვისებებში კი არ არის, არამედ ღმერთ-კაცის მთლიან სახის დახატვაში, რომლისთვისაც მოციქულები სრულიად მოუმზადებელნი იყვნენ, რომლის ნიჭი მათ არ შესდევდათ.

„მართლადა წაიკითხეთ სახარება, და თქვენ ცხადად დარწმუნდებით, რამდენათ მაღლა იდგა ქრისტე თვით უმაღლეს მოციქულებზე; მაშინ ეჭვი აღარ გექნებათ იმაში რომ მოციქულებს არ შესდევდათ ნიჭი უბრალო კაცის ღმერთკაცამდის გაზვიადებისა. აი, მაგალითად, მოციქულთა თავმა პეტრემ დაუწყო თავის მოძღვარს „ცილობა“, როცა უკანასკნელი ბაასობდა თავის მაცხოვარებით ვნებაზე და მიიღო ღირსეული ჯილდო შემდეგ სიტყვებში: „წარვედ ჩემგან სატანა,—საცდურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ზრახავ ღვთისასა, არამედ კაცისასაო“ (მათ. XVI 22—23). ზებედეს შვილებს, რომლების დედა თხოვდა მაცხოვარს, დაესვა იგინი ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით თვისსა სასუფეველსა ღვთისასა, მან უპასუხა: „არა იცით, რასა ითხოვთ“. (XX 22). როგორც მოწმობს მოც. ლუკა, (XXIV 21, 22), მოციქულებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ, რომ ქრისტე უნდა წამებულიყო. ემმაუსელ მოგზაურთა ნაღვლიან მუსაიფზე უფალმა უპასუხა ისეთივე ნაღვლიანი საყვედურით: „ჰოი უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა რომელსა იტყოდეს წინასწარმეტყველნი“ (25). „არა თქვენი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფებითა“, შენიშნავს აღდგომილი თავის მოწაფეებს (საქ. I, 7).

„განმეშორე ჩემგან უფალო, „რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ“, ხმობს პეტრე არა ჩვეულებრივ საკვირველმოქმედის მიმართ შემდეგ აუარებელ თევზის დაჭერისა. მეორე მოციქული, უბედური იუდა გამცემელი, ქენჯნილი გაღვიძებულ სინიდისის საყვედურებით, უბრუნებს მღვდელმთავრებს ვეცხლს და ამბობს: „ვსცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი... და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა; და წარვიდა და შეშთვილიბა“ (მათ. 27, 4—5). ის საოცარი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენდა მნახველზე წმინდა მოძღვარი, შეიძლება ითქვას, არ ასვენებდა ადამიანს არც დღე და არც ღამე და აიძულებდა ეცხოვრა მისი სიხარულით და უურო მისი მწუხარებით. „არა სძეს შენი და მართლისა მაგის კაცისა (არა რა ავნო მართალსა მაგას კაცსა), ეევდრება წარმართი ცოლი თავის მეუღლეს, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩვენებით მაგისთვის“. (19), თვით მთავარმაც, როცა მას ფუჭად ჩაუარა ყოველმა საცადმა შესახებ უმართლოდ ტანჯულის განთავისუფლებისა, საჭიროდ დაინახა საჯაროდ გამოეცხადებია თავის უბრალოება მოღალადე ბოროტ მოქმედებაში, დაიბანა ხელი და სთქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგის მართლისაო“ (24). ჯვარზე გაკრულმა გონიერმა ავაზაკმა, რომელმაც, უეჭველია, მრავალ ბოროტმოქმედება ჩაიდინა, აუტანელ ტანჯვის დროს გაიხსენა ღმერთი და შეეევედრა არა იმ ღმერთს, რომელსაც აქამდის ეევედრებოდა, არამედ დამდაბლებულ და განკიცხულ-წამებულში იცნო განხორციელებული მხსნელი—ღმერთი და მას სთხოვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითაო!“ (42) სული წმიდით განბრწყინებულმა გალილეველმა მეთევზეებმა უშიშრად აუწყეს მთელ ქვეყნიერებას ჯვარცმული მეუფე დიდებისა. და კიდევ ჩვენ გვაქვს მოციქულთა საუკუნიდგან დარჩენილი დიდმნიშვნელოვანი წამება პროკონსულის პლინისა იმის შესახებ, რომ მის თანამედროვე ქრისტიანებს ჩვეულებად ჰქონდათ ღვთის მსახურების დროს საგალობლებით ედიდებიათ ქრისტე, როგორც ღმერთი „carmenque chiristo quasi Deo dicere“.

„უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაგან“ (მათ. XI, 11) იოანე წინამორბედი მოწმობს იესოზე შემდეგი სიტყვებით: „ესე არს, რომლისათვის იგი ვსთქუ, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო,

რამეთუ პირველ ჩემსა არს“ (I, 15). როცა ხედავს მომავალ იესოს, წინამორბედი ამბობს: „აჰა ტ.რიგი ღვთისა, აღმღებელი ცოდვათა“ (—29). „მე არა ვიცოდი იგი, არამედ რათა გამოეცხადოს ისრაელსა, ამისთვის მოვედ მე წყლითა ნათლისცემად“ (- 31) „და მე ვიხილე და ვსწამე, რამეთუ ესე არს ძე ღვთისა“— (—34). ამათზე უფრო უმეტესი და გადაჭრილი მოწმობის მოთხოვნა შესახებ იესო ქრისტეს ვინაობისა შეუძლებელია. ამ მოწმობის სიყალბეში რომ ეჭვი შევიტანოთ, არა გვაქვს არავითარი საბუთი. წინააღმდეგ, სხვა მახარებლების ცნობების მიხედვით—მათ. III XI, 1—20 XXI, 32; მარ. I, 1—11; ლკ. III, 1—18; XX; 1—8 და სხვ. მრავალთა, უეჭველად უნდა მივიღოთ იგი, როგორც ძვირფასი საბუთი, რომელსაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიზნისათვის. ეს მოწმობა შესანიშნავია აგრეთვე თავის წარმოებით. ამ უკანასკნელ გარემოების ღირებულება რომ დავაფასოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ იოანე, იოსებ ფლავიოსის*) სიტყვით, „ისეთი შესანიშნავი მქადაგებელი იყო, რომლისაკენაც ყოველი მხრიდგან მოისწრაფოდენ მსმენელნი და ძრიელ აღძრულნიც იყვნენ; იგინი არაფერს დაიზოგავდნენ, ყოველივე შეესრულებიათ მისი რჩევისამებრ.“ ნათლისმცემელის ზნეობრივ სიდიადის წინ ჰქრებოდა ტეტრარქის პოლიტიკური ძლიერება. „იროდს ეშინოდა იოანესი“, მახარებლის სიტყვით, „რადგან იცოდა, რომ იგი იყო კაცი მართალი და წმიდა“ (მარ. VI, 20). ჯვარცმის წინ იესო ქრისტე თავის მტრების ვერაგულ კითხვებს უპასუხებს კითხვითვე შესახებ იოანეს ნათლისღებისა და მათ მყისვე ეკარგებათ სურვილი მაცხოვრის შეპყრობისა (მტ. XXI, 26) Agaton andra უწოდებს წინამორბედს იუდელების ისტორიკოსი**), და შემდეგი მწერლებიც, თითქოს არ უნდათ უკან ჩამორჩენაო, სახელსდებენ წინასწარმეტყველს „დიდ მღვდელმთავრად***).

*) О. Евгеній о Спасителѣ и спасеніи. С.-Б. 1899. Стр. 18.

**) Флав. Ант. XVIII, 5, 2.

***) Feav, Op. ed. Hovercamp. t. Suppl. p. 367.

„დაე ეხლა თითეულმა მიუდგომელმა მკითხველმა განსაჯოს იოანეს მოწმობის ღირსება შესახებ იესო ქრისტეს ღმერთ-კაცობისა, და გაითვალისწინოს, ვინ უფრო სანდო მოწამეა ნათლისმცემელი, თუ ტოლსტოი,**) ამბობს მ. აკილონოვი, ხოლო ჩვენ ვიტყვით, ნათლისმცემელი თუ ბ. გომართელი?

„ნუღარ გავავრცელებთ მოწმობათა მოყვანას, საკმარისია მოყვანილნიც, რომ სრულიად დავრწმუნდეთ მოციქულების უბრალოებაში შესახებ ქრისტეს პიროვნების გაზვიადებისა. ამისთვის არ გვაქვს არც ისტორიული და არც ფსიხოლოგიური სიბუთი და მხოლოდ თავშესაქცევად თუ მიუთითებდა ვინმე ამ სერიოზულ სიქმეში სხვა შესაძლებელ მხატვრებზე, ან ვინ იყვნენ ეს მხატვრები? მოციქულების უახლოესი მოადგილენი? აპოლოგეტნი? ეკკლესიის მამანი და მოძღვარნი? ისტორიკოსები? რამდენიც გინდათ იმდენი შეიძლება ვუჩვენოთ საეჭვო შემძენი სახარების იდეალურ შინაარსისა, მაგრამ არასოდეს არ შეგვიძლია დავამტკიცოთ სინამდვილე ფანტასტიურ იდეალიზაციისა. უსაცილოდ ბუდდისტებმა და მუსულმანებმა შემდეგ დროებში თავზე მოახვიეს ბუდდას და მახმადს თავისებური უცოდველობა. მაგრამ ეს არ არის სიწმიდე, ეს არის დამახინჯება ზნეობის თვით ელემენტარულ მოთხოვნილებისა, კარიკატურა უცოდველობისა, უკანა რიცხვით მიწერილი სარწმუნოების რეფორმატორების აურაცხელ ცოდვების ანგარიშზე. მაინც როგორ მოღაღადე წინააღმდეგობას წარმოადგენს ეს უცოდველობა აღნიშნულ გვამთა ცოდვილ პირისახესთან! ჩვენთვის ხომ მოგონებული ამბები არ არის ძვირფასი, არამედ ის ისტორიული სიმართლე, ის ისტორია, რომელიც მოგვითხრობს ნამდვილ შემთხვევებზე და არა რაღაც ზღაპრებზე.

თუ არც მოციქულებს და არც არავის სხვას არ შეეძლო ხელოვნურად შეექმნა ქრისტეს იდეალური სახე, თუ ამის გასამართლებ-

**) აკილონოვი თავის სტატიას ლ. ტოლსტოის წინააღმდეგ სწერს. ავტ.

ლად არ მოიძევება არავითარი ისტორიული ანალოგია და თუ, კიდევ, თვით ქრისტე, თუნდა უბრალო მომაკვდავიც ყოფილიყოს იგი, სრულებით არ შეეძლო ნაკლულევანი უნაკლულოდ, უცოდველად გადაქცეულიყო, და იმაში (ქრისტეში), როგორც არა უცოდველში, არ შეიძლებოდა დაბადებულიყო თავის უცოდველობის ცნობიერობა და ცნობიერობა არა ჩვეულებრივი სიახლოვისა ზეციერ მამასთან, მაშინ ჩვენ თვალწინ იშლება შემდეგი ალტერნატივა: ქრისტე ან მატყუარა იყო, ან ღმერთ-კაცი. პირველი გამოსავალი ამ ალტერნატივიდგან ყოვლად შეუძლებელია, რადგან სიცრუე შეუთანხმებელია ქრისტეს განსაცვიფრებელ ზნეობრივ სისრულესთან — რადგან სიცრუეს ვერ შევწამებთ ისეთ ზნეობით სრულ გვამს, როგორიც არის სახარების ქრისტე; მაშასადამე დაგვრჩენია ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ქრისტე არ არის უბრალო კაცი, არამედ ღმერთ-კაცი.

ამის შემდეგ თავის თავად ირღვევა ყველა ჯურის რაციონალისტების, და მათ შორის ტოლსტოისაც, ის აზრი, ვითომ იესო ქრისტე უბრალო კაცი იყო და წარმოსდგა კაცობრივ. თვალსაჩინო სისულელე ამ აზრისა ორკეცდება იმ საზიზღარ ცინიზმით, რომლითაც ბ. ტოლსტოი (ჩვენებურად გომართელი) ცხადჰყოფს მაცხოვრის უმამოდ ჩასახვის საიდუმლოებას. თავის თხზულებაში: „Соединеніе и переводъ четырехъ евангелій“, ტოლსტოი ასე ასურათებს იესო ქრისტეს შობას: „იყო ქალწული მარიამი. იმისაგან და უცნობი მამისაგან დაიბადა ბიჭი.“ ცნობილი ბელადი თანამედროვე მონიზმისა, პროფ. გეკელი, თავის ანტიქრისტიანულ თხზულებაში „Die wetlräthsel“ ერთი კალმის მოსმით უბრძანებს უცნობ მამას იწოდებოდეს „იოსებ პანდერად, რომელ ასისთავად კალაბრიის ლეგიონისა, რომელიც იდგა იუდეაში“. ასე „აკეთებენ ისტორიას“ ბულვარის გმირების უმგვანო სითამამით, ივიწყებენ რა პატიოსნების თვით პირველდაწყებით კანონებს. ორიგინალური მაინც იყოს ეს ზღაპარი! მაგრამ არა, იგი არ წარმოადგენს ახალ რამეს, იგი განმეორებაა ურიების იმ უსინდისო ცილის წამებისა, რომელმაც ადგილი იპოვა ცნობილ ცელსის ლაშქრობაში ქრისტეს წინააღმდეგ, გარნა სამაგიეროდ ბრწყინვალე გაცუდებაც ორიგენის თხზულებაში — Contra Celsum.

„ჩვენ ზევით ვსთქვით შესახებ თვითცნობიერობის დიდმნიშვნელობისა საზოგადოდ და კერძოდ ქრისტე მაცხოვრის ღმერთ-კაცურ თვითცნობიერობისა, რომ კანონიერი მსჯელობა ვიქონიოთ ადამიანის ღირსებაზე საზოგადოთ და კერძოდ მაცხოვრის ღვთაებრივ ღირსებაზე.

ჩვენ ემპირიულ ცოდნის საუკუნეში მსწავლულები იქამდის აზვიადებენ ამ ფაქტორის (თვითცნობიერობის) მნიშვნელობას, რომ მაიმუნსაც ადამიანის ჩამომავლობას აწერენ. მაგრამ აი მედლის უკუღმა პირიც. ერთ ვინმე თანამედროვე ბუნების მეტყველის წინ ბრწყინავს, როგორც მზე, ღმერთ-კაცური თვითცნობიერება და, მგონია, რომ ღირსია დაუკვირდეს ამ არა ჩვეულებრივ მოვლენას, ღირსია დააფასოს იგი, რომ თავი არ შეიქციოს ნაფიც ქრისტეს მოძულე ურიების მდაბიო ცილისწამება-მოგონებით. მაგრამ სჩანს ერთს ამბობს ლოგიკა აზრისა და სხვა კეთდება ცხოვრებაში. ქრისტეს, წინააღმდეგ ყოველ მეცნიერულ საბუთებისა და საღი აზროვნებისა და, თითქოს ისტორიის ჯინაზე, უპოვეს მამა... ვიღაც უპატიოსნო ავანტიურისტი - ლეგიონერი. ჰეშმარიტად აღესრულა წინასწარმეტყველისა: „ხოლო თესლტომი მისი ვინმე მიუთხრას.“ (ის. hIII, 8).

„ეხლა ვკითხოთ ჩვენ თავს: გვაქვს თუ არა ჩვენ საკმაო საფუძველი, რომ ტოლსტოის (და მასთან ბ. გომართელისაც) შეხედულება ქრისტეზე შევრაცხოთ სისულელედ და ვირწმუნოთ ქრისტე, როგორც მხოლოდშობილი ძე ღვთისა? დამამტკიცებელი „დიახ“ ჩვენის მხრით, ვფიქრობთ, იქნება ერთადერთი კანონიერი პასუხი ყველა კითხვებზე, და რაც უნდა ილაპარაკონ უარისმყოფლებმა, ჩვენ წმინდის გულით და გონიერი საბუთებით შეურყეველად უნდა აღვიაროთ და აღვიარებთ კიდეც ქრისტეს ღმერთ-კაცობის მიუწდომელ

ქეშმარიტებას: „მრწამს უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ქეშმარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ“.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).



ქართველ ქალთა საყურადღებოდ.

(ვუძღვნი ევ—ნას).

I.

ამას წინად ერთ ქართველ პატივცემულ ოჯახის განათლებულ მანდილოსანთან მქონდა ხანგრძლივი სჯა-ბაასი შეხახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში და აქვს ახლა ქალს, როგორც მეუღლას, დედას, დიასახლისს და საზოგადო მოღვაწეს. გაცხარებული სჯა დაასრულა პატივცემულმა „ოპპონენტკამ“ შემდეგის აზრით: „ინტელლიგენციის უმეტესობას არც კი ესმის, რისთვის თხოულობს ცოლს: ყველაზედ მეტი ახლანდელს დროში თხოულობს მზითევს და არა ქალს, გულით მეგობარს, მომავალს მეუღლას, ერთი ჯგუფი ეთაყვანება სილამაზეს და ცოლს უყურებს, როგორც სასტუმროს დამამშვენებელს, ესტეტიკურ გრძნობის დამმაკმაყოფილებელს, მეორე ჯგუფის თვალში ცოლი არის მიუცილებელი საჭიროება იმისთვის, რომ ოჯახი არ გადაშენდეს; გლეხობა ცოლში ეძებს მუშას და კარგს მოდგმის არსებას. — ქალის როლზედ წარსულში ისტორია არაფერს არ ამბობს, როგორც ერთი უმნიშვნელო და გამოუდეგარ არსებაზედ, დღეს კი ჩვენი მდგომარეობა აუტანელია და ამ პირობებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია“...

ზოგიერთ გენიოსებმა, რომლების მიზანია წარმოსთქვან უეჭველი ქეშმარიტება, და ამ ქეშმარიტების გამოქვეყნებას აშენებდნენ თავის ხანგრძლივ დაკვირვებაზედ, ცხოვრებაზედ და კრიტიკულ ანალიზზედ სხვა გენიოსების აზრებისა, რამოდენიმე სიტყვებში გამოხატეს თავიანთი აზრები ქალზედ და უეჭველად მათი უკუდავი და მათივე სისხლის ასოებით დაწერილი ქეშმარიტება არა თუ ზეპირად უნდა იცოდეს ყოველმა განათლებულმა ქალმა, არამედ ის ვალდებულია პრაქტიკულად ახორციელოს ეს აზრები თავის მოქმედებით. მათი აზრით, რანაირიც ქალია, იმნაირია ოჯახიც, რანაირია ოჯახი, იმნაირია საზოგადოებაც; ქალი კაცობრიობის ცხოვრებაში და მის ინტელლექტუალურ მომქმედ ძალისთვის იგივეა, რაც მზის სხივი სულიერ არსებისათვის.

ბედნიერება და უბედურება, განათლება და უვიცობა, საზოგადოდ ცივილიზაცია და ბარბაროსობა დამყარებულია იმაზედ, თუ რა ნაირად მოიხმარს კაცობრიობა ქალის გავლენას. ქალი არის მზე, რომლის სხივებშიდაც სცურავს თითოეული წევრი ოჯახისა, ის, ე. ი. ქალი, არის მაგალითი და ნიმუში მის სამეფოში—ოჯახში, რომლებიც მუდამ თვალწინ უდგას ოჯახის წევრებს; მათი მაგალითი და გავლენა კუბოს ფიცრამდის მიყვება ადამიანს... ერთი სიტყვით, გენიოსების აზრით, ქალი იგივეა ცხოვრებისთვის, რაც გული სხეულისთვის. აქედან სჩანს, რომ ქალი არა თუ არა რას წარმოადგენდა, არამედ მას დიდად უმაღლესი ადგილი ეკავა და კიდევაც შეუძლია და ვალდებულიც არის დაიკავოს, ვიდრე ის, რაც ახლა უკავია. კარგი ქალი, რომელსაც ესმის თავის მნიშვნელობა და ასრულებს მას, ყოველთვის სათაყვანებელია: ის მიწიერი ღმერთია კაცობრიობისთვის, სინათლე, რომელიც წინ უძღვის კაცს მის მოქმედებაში, ენერგია, რომელიც ამოძრავებს ტვინსა და სხეულს, მაგრამ შეუძლია იქნეს აგრეთვე დამბნელებელად აზრისა და გონებისა, წამქცევად კაცობრიობისა. ქალი არ ყოფილა არა რად: ისტორია გვიმტკიცებს, რომ მთა-ბარად მოსიარულე კაცი ქალმა მოიშინაურა, სახლ-კარი გაუჩინა, დააბინავა. პირველად ქალმა შეისწავლა დაკვირვებით მცენარეების ცხოვრება, მოთხოვნილება, ავ-კარგიანობა, როგორც საზრდო, როგორც წამალი; პირველად ქალმა მოაშინაურა ძაღლები, რქიანი საქონელი, თხა, ქათამი, ბატი, იხვი თავის მოფერებით და ნაზი

მოვლით. ის იყო პირველი მეურნე; ის იყო პირველი აქიმი. გამოჩენილ ანტროპოლოგების და ეტნოგრაფების (მოსპერო, რატცელი, პეტრი, პეშელი, ზიბერი, შაშკოვი, რაგოზინის ქალი და სხ.) თხზულებაებში შესახებ კაცობრიობის ძველებურ კულტურისა ნამდვილად მტკიცდება, რომ ქალებმა შამოიღეს პირველად სხვა და სხვანაირი ხელობა, ვაჭრობა, იყვნენ პირველი ინჟინრები, დიდებულნი პოეტესსები, ბელლეტრისტები, ფილოსოფოსები და მეცნიერნი, ქალები ამშვენებდნენ წარსულ საუკუნის ისტორიის ფურცლებს; დიდებულ სახელმწიფოების მმართველი ქალები და მათ შორის: თამარი, წმ. ნინო და სხვებს ვინ არ იცნობს, როგორც ჭკუის საუნჯეს?

არა, ბატონო მანდილოსნებო, თქვენი წარსული სახელი ერთობ დიდებულია და ამ სახელის ფუფუნება უნდა შეადგენდეს თქვენს წმიდა-თა-წმიდას; წარსული მაგალითად უნდა გქონდესთ ყოველთვის თქვენს მოქმედებაში და კაცობრიობა არ დაიღუპება.

რაიცა შეეხება კერძოთ ქართველ ქალს, ჰმ!... მისი წარსული განსხვავებულია, ის ღირსეულად შემკულია ისტორიით, საქმით; მაგრამ ეს ხომ წარსულია და ამისათვის თითოეული ქართველი, რომელშიდაც კიდევ ძგერს ქართული გული ვალდებულია მოწიწებით ეამბოროს იმ მიწას, რომლის გულმკერდში ჩაკრულია წმიდა ძვლები ყოფილ დედებისა, დებისა და ცოლებისა. ახლანდელ ქალებს ეს ხომ არ ეხება და მადლობასაც ხომ ვერ მიიღებენ მათ დიდებულ წინაპრებისათვის, — მათთვინ ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვისურვოთ, რომ ისე ემსახურონ ამ დროს, როგორც მათი დედები თავის დროის მოთხოვნილებებს ემსახურებოდნენ.

ზემოხსენებული, მგონი, საკმარისია დასამტკიცებლად ქალთა როლის მნიშვნელობისა წარსულში. ვკითხოთ ახლა თანამედროვე მანდილოსნებს; ასრულებენ თუ არა ისინი მათ წმინდა მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა? რას თხოულობს მათგან ეხლა კერძო და საზოგადო ცხოვრება?

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება.)

ᲙᲣᲭᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ.

—

როს ეამთ სიავემ გარემომიცვეს,
მიმცეს ტანჯვასა და მწუხარებას,
ეკლით მოსილსა დედამიწაზე
სისხლის ოფლისა ღვრას და დინებას;

—

სენთ სარეცელზე ვრდომილ-მწოლარე
ვებრძოდე ნაღველს და გაჭირვებას,
ან მათს ბრჭყალებში გაკავებულსა
გლოვა და ცრემლი წინ ჰურად მედგას;

—

მშობერ-მწყურვალე, მაშვრალ-მომყმარი,
მოშორებული ბედნიერებას
და მომლოდინე ბნელის საფლავის
მწირად რომ ვეგდო ქვეყნიერებას;

—

შენ ვერ გამიწევ ძმობა-ერთობას,
თანაგრძნობასა და ღვაწლ-წამებას,
თუ ყური უგდე შენის კუჭისთვის
სიამოვნების დიადსა მკნებას.

—

თუ კი კუჭია ქვეყნად მთავარი
სხვა ყველაფერი მას ემონება,
რად უნდა დასთმო ძმისთვის სიცოცხლე,
მით მოიშხამო წუთი ცხოვრება?!

—

თავის გაწირვა მოყვსის გულისთვის
ხომ შენი კუჭის უარყოფაა?!
კუჭს მსახურებდე, მასვე სტანჯვიდე—
ესეც ხომ დიდი უაზრობაა?!....

—

ნუ მეფიცები ძმობა-ერთობას,
შენ მას ვერ შესძლებ, ალთქმაა ფუჭი,
სანამ შენს აზრსა და მოქმედებას
საფუძვლად უდევს ჭამა და კუჭი.

—

ღვაწლი და შრომა ძმისთვის შენის
მხრიდ
ან უაზრობა, ან სიფლიდეა,
და მისთვის შენი ძმობისთვის ფიციც
უსაფუძვლო და მოსარიდეა.

ონოფრე მწირი.

ვასილ პეტრიაშვილი.

ქართველი ყოველთვის უმადური ყოფილა და ამ ბოლო დროს ხომ სულ გაუმადურდა. იგი არათუ ღირსეულად აფასებს თავის დაწინაურებულ მოძმეებს, არამედ თუ ხელი შეუწყდა, კიდეც... მარტო ილიას მაგალითი მოწმობს ქართველი კაცის უმადურობას. ამას იქით რა გასაკვირვალია, რომ ვ. პეტრიაშვილს დღემდის დაახლოვებით ვერ იცნობდა ვერც ერთი ქართველი. რამდენი ღარიბი სტუდენტი, რამდენი გაჭირვებული მოსწავლე ახალგაზდობა შეუნახავს და გამოუზდია განსვენებულს, როგორც ვტყობილობთ ეხლა. სად იყვნენ აქნამდის ეს გასახარებლები, ეს ვასოს ლუკმით აღზრდილი ვაჟბატონები, რომ აქნამდის არ გაგვაცვნეს ეს ღირსეული ადამიანი, რომ სიცოცხლეშივე მიგვეპყრა მისთვის ღირსეული პატივისცემა? რათ ერთი სიტყვით არ მოიგონეს ეს ნამდვილი ადამიანი, რომელსაც ქრისტეს ზნეობრივი სწავლა შეწყალებაზე და ძმათა სიყვარულზე სისხლად და ხორცად ჰქონია გადაქცეული? მის მაგიერ, რომ ჩვენი მამულიშვილი ჩვენვე გავაცნოთ ქვეყნიერებას, იძულებული ვართ ჩვენ გავიცნოთ იგი უცხო ტომის მწერალთაგან, რომლებიც, სამარცხვინოდ ჩვენდა, დაახლოებით იცნობდენ და აფასებდენ განსვენებულ ვასილს, როგორც ადამიანს და როგორც მეცნიერ პროფესორს.

რადგანაც ჩვენ პირადად ვერ ვიცნობდით ნეტარხსენებულ ვასილს, ამიტომ იძულებული ვართ მივბაძოთ გზა. ,,ამირანის'' მაგალითს და სხვისგან მოვიღოთ მის გასაცნობათ საჭირო მასალა. ჯერ ვისარგებლებთ თვით ამირანში მოყვანილ ცნობებით, რომლებსაც იგი სხვა და სხვა წყაროებიდან ჰკრებს. აი რასა სწერს ,,ამირანი'':

„განსვენებული, ყველას მოწმობით, იშვიათი კაცი იყო. იშვიათი ადამიანობით. კაცურ-კაცობით, ასეთ კაცს სიცოცხლეში ფართო წრეები ნაკლებად იცნობენ ხოლმე, იმიტომ რომ დათესილ სიკეთეზე არა ყვირის, კარგ საქმეს სხვების დასანახვებლად და სახელის მოსახვეჭად არ აკეთებს. იცნობენ კარგად მათ მახლობელნი, ნაცნობნი, ვისთანაც რაიმე ურთიერთობა აქვთ. პეტრიაშვილი თვალსაჩინო მეცნიერი იყო, მაგრამ სიკვდილის ჟამს მისი მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე მაგდენად არავის გახსენებია, ყველას მისი ადამიანობა აგონდებოდა. რეაქციონური გაზეთები პეტრიაშვილს სდევნიდენ, მაგრამ ისეთი გაზეთიც-კი, როგორიც ,,მოსკ. ვედ.''-ია, აღიარებს, რომ პეტრიაშვილი, როგორც ადამიანი, სამაგალითო იყო. პეტრიაშვილის დაკრძალვამ ნათლად დაამტკიცა, განსვენებული რამდენად საყვარელი და სათაყვანებელი კაცი იყო. დიდძალი ხალხი—მეცნიერნი, სტუდენტები, მუშები ქალი და კაცი—გულწრფელად ჰგლოვობდა განსვენებულის დაკარგვას.

განსვენებულის ხსოვნას მრავალი წერილი უძღვნეს ამხანაგმა-პროფესორებმა, მოსწავლე ახალგაზდობამ, ნაცნობებმა და სხვებმა. რამდენიმე წერილი უკვე მოვიყვანეთ ჩვენს გაზეთში. ეხლა გავაცნობთ ზოგიერთ ადგილებს სხვა წერილებიდან. აი, სხვათა შორის, რას ვკითხულობთ ერთ წერილში:

,,პეტრიაშვილს ჯერ ისევ სტუდენტობის დროს გაუვარდა სახელი. მისი იშვიათი ხასიათი ყველას იზიდავდა, მუდამ დღე აუარებელი სტუდენტობა აწყდებოდა. ყველას მოსამართლე, მრჩეველი და დამრიგებელი ის იყო, ის აშოშმინებდა წაჩხუბებულთ, ამხნევებდა სულით დაცემულთ, გზას უჩვენებდა ყოყმანში მყოფთ. პროფესორების დროს ხომ ნამდვილი მამა იყო ყველასი. მის ლექციების მუდამ აუარებელი ახალგაზდობა აწყდებოდა განსვენებული კარგა ბლომა ფულს იღებდა—წელიწადში შვიდას თუმნამდე, მაგრამ დიდი ნაწილი ამ ფულისა სხვებზე იხარჯებოდა. ერთხელ, უნივერსიტეტში მოღვაწეობის ახლად დაწყების დროს, პეტრიაშვილს ტანისამოსი ძალზე შემოაცვდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამხანაგმა-პროფესორებმა ურჩიეს, წასულიყო და რაიმე შარვალი ეყიდნა. პეტრიაშვილს ამ დროს 15 მანეთი ჰქონდა ჯიბეში და გაუგონა ამხანაგებს. მეორე დღეს ერთი მეგობარი მივიდა მასთან სახლში. პეტრიაშვილი იჯდა და ძველ შარვალს იკერებდა. ,,ახალი? ახალი

შარვალი რა უყავი?''—ჰკითხა მეგობარმა. ,,გუშინ,—მიუგო პეტრიაშვილმა,—როდესაც სასყიდლად წავედი, ნაცნობი ღარიბი სტუდენტი შემხვდა, ძალზე გაჭირვებული იყო და იმას მივეცი.''

პროფ. მელიქიშვილს უამბნია გაზეთის ერთი თანამშრომლისთვის:

,,პეტრიაშვილი გავიცანი მაშინ, როდესაც 18 წლისა ვიყავი და ტფილისის გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაშინ იგი სტუდენტად იყო, მაგრამ საქართველოში უკვე იცნობდნენ. თავის ბელეტრისტულ და პუბლიცისტურ წერილებით, რომლებსაც ოდესიდან ქართულ გაზეთებში ჰგზავნიდა, ყველას ყურადღებას იქცევდა. პუბლიცისტურ წერილებში დღიურ საკითხებს ეხებოდა, ხოლო ბელეტრისტულ ნაწერებში ჰხატავდა გაჭირვებულ ცხოვრებას გლეხისას, რომელსაც კარგად იცნობდა. მამა პეტრიაშვილისა სოფლის მღვდელი იყო და თავისი ბავშვობა განსვენებულმა სოფლად გაატარა. დედა ოთხი წლისამ დაჰკარდა.

,,მეოთხე კურსზე იყო, როდესაც მე უნივერსიტეტში შევედი, იმისმა საოცრათ კეთილმა გულმა პირველადვე მიმიზიდა. ჩემი ხელმძღვანელი იყო და ისეთი გავლენა იქონია ჩემზე, რომ მეც მის სპეციალურ საგანს დავადექი სამეცნიერო ასპარეზზე. მაშინ თეორიაც გაჭირვებული იყო, მაგრამ თუ-კი რამ ეაჩნდა, არავის უჭერდა. მართლა იშვიათი ადამიანი იყო. სიკეთის თესვა იმის ბუნების უმთავრეს თვისებას შეადგენდა. სიკეთეს ისე სთესდა, რომ, როგორც ნათქვამია, მარჯვენა ხელმა არ უწყოდა, რასა შვრებოდა მარცხენა. ყველასთან ერთნაირად იყო—არ არჩევდა დიდსა და პატარას, პროფესორსა და სტუდენტს. როგორც გავიცანი პირველად, ისეთივე დარჩა სიკვდილამდე. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცისთვის პეტრიაშვილი ხსნა იყო. მარტო უბრალო ლაპარაკი, კილო და ხმა ამხნევებდა ასეთ კაცს.''

(შემდეგი იქნება.)

წერილი რედაქციის მიმართ.

ლია წერილი „ეშმაკის მათრახი"-ს რედაქტორისადმი.

ბ. „ეშმაკ. მათრახ." რედაქტორო!

„შინაური საქმეები"-ს მე 14 №-ში გთხოვდით აგვეხადთ ნიღაბი თქვენი კორრესპონდენტის ბუჩიასათვის, მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ, რაც მ ეძულებს კითვქრო, რომ თვით თქვენ ბრძანდებით ბუჩია. ამიტომ გთხოვთ უკანასკნელად, გამობრძანდეთ სამედიატორო სამართალში და ან გვეტნობოთ, ვინ არის თქვენი ბუჩია? იცოდეთ ეროვნულ კანონიერ ღონისძიებას ვიხმარ, რომ თქვენგან წაცსებული ჩარქა მოვიხოტო. ეროვნულ შემთხვევაში ჩემი მხრით მედიატორებად ვნიშნავ მღ. მ. საღოვნე შუბლაძეს და ბ. ანდრია ზაქარიას ძე სვანაძეს. ვადას ვნიშნავ კიდევ უკანასკნელად ორ კვირას დღიდგან ამ წერილის დასტამბვისა.

მღ. რაჟდენ სანებლიძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიშვ.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:
თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიაც — მისაგან I, II, III და IV კლასებში სავალდებულო წიგნი.
იკითხეთ: თეოთში ავტორთან, ქუთაისში ი. ბერიძესთან და ვ. ბუკინეიშვილთან, თბილისში წერაკითხვის საზოგადოებაში.

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Тифлисская ул., д. Джорджикія.